

დანართი. 4

გამჭოლი კომპეტენციების დაუფლების მიზნით 2013-2015 წლებში განხორციელებული პროექტები
ქართული ენა და ლიტერატურის პედაგოგი : ლელა მანგოშვილი

	პროექტის დასახელება	მიზანი	სამიზნე ჯგუფი	მოსალოდნელი შედეგი	თარიღი
1	ხილთა ცილობა	ხილის სახეობების შესწავლა, წიგნიერების კომპეტენციის განვითარება, რესურსების შექმნა ისტ-თან დახელოვნებასთან ინტეგრირებით	III	მოსწავლეები შეისწავლიან ხილის სახეობებს, განვითარებენ წიგნიერების კომპეტენციებს, ისტ და ხელოვნების დახმარებით შექმნიან რესურსებს.	10.2013
2	ილია ჭავჭავაძე-წმიდა ილია მართალი	ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა, მიზნობრივი ექსკურსიების მოწყობა საგურამოსა და თბილისის მუზეუმებში. კითხვისა და წერის სხვადასხვა სტრატეგიაზე მუშაობა	IV	მოსწავლეები შეისწავლიან ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ესტუმრებიან მუზეუმებს, დაწერენ რეფერატებს, განვითარებენ კითხვისა და წერის უნარებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით.	10.2013-04.2014
3	როგორ ხვდებიან ახალ წელს საქართველოში	სასკოლო ბიბლიოთეკისა და ისტ დახმარებით ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის მომზადება	III	მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას, განვითარებენ ისტ და საპრეზენტაციო უნარებს	01.2014
4	როგორ ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში	სასკოლო ბიბლიოთეკისა და ისტ დახმარებით ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის მომზადება	IV	მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას, განვითარებენ ისტ და საპრეზენტაციო უნარებს	01.2014
5	უნივერსიტეტი 95 წლისაა	სახელმძღვანელოს, სასკოლო ბიბლიოთეკისა და ისტ დახმარებით უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მოძიება, წიგნიერების კომპეტენციის განვითარება, მიზნობრივი ექსკურსია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	IV	მოსწავლეები გაეცნობიან უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას, მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას, დაწერენ რეფერატებს.	02.2014
6	ჩვენი ენა ქართული	ენობრივი კომპეტენციის განვითარება, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების დაუფლება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. რესურსების შექმნა, დასკვნითი ღონისძიების ჩატარება „დედაენის ძეგლთან“ განხორციელებული აქტივობების სოციალურ	I-IV	მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას ქართული სამეტყველო ენისა და მართლწერის ნორმების შესახებ, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების საფუძველზე მიზნად დაისახავენ, დაიცვან ქართული ენის სიწმინდე, შექმნიან რესურსებს,	04.2014

		ქსელში შექმნილ ვებგვერდზე გაზიარება.		განივითარებენ შემეცნებით, სოციალურ-კომუნიკაციურ და თანამშრომლობით უნარებს.	
7	ისუნთქე O-2	მოსწავლეებში, მასწავლებლებში, მშობლებში, სკოლის ადმინისტრაციაში, ზოგადად, საზოგადოებაში ეკოცნობიერების გააქტიურება, მწვანე საფარის მიმართ თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობის გაცნობიერება	III-IV	მოსწავლეები გააცნობიერებენ, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ბუნების დაცვისა და გაფრთხილების თვალსაზრისით. შექმნიან საინფორმაციო ბროშურებს, განივითარებენ წიგნიერების კომპეტენციებს, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს.	04.2014-07.2014
8	ფილმი, თუ წიგნი? ალბერტ ლამორისის „წითელი ბუმბუტი“	წიგნიერების კომპეტენციის განვითარება, ნაწარმოების შესწავლის შემდეგ შეხვედრა წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელთან, ბ-ნ პაატა პაპავასთან და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კინოშედეგის ჩვენება კინოთეატრ „ამარკორდში“. ფორმატი: გამომწვევი შესავალი, სახალისო შეჯამება და უშუალო, გულწრფელი აზრთა გაცვლა. კვირის განმავლობაში განხილვა, ეპიზოდებად დაყოფა და ნახატებით თხრობა, დისკუსია, დებატები. დასკვნითი პრეზენტაცია	III-IV	მოსწავლეები განივითარებენ არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს, დისკუსიის წარმართვის ტექნიკას, საკუთარი ილუსტრაციებით შექმნიან წიგნებს.	07.2014
9	„ვეხმარებოდეთ , გავცემდეთ, ვუზიარებდეთ, გვიყვარდეს“	საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ფესტივალის CinéDOC-Young ფარგლებში ფილმზე დასწრება კინოთეატრ „რუსთაველში“. ჯესი როსლერის „ზღვის ვარსკვლავები“ შეხვედრა ფილმის პროდიუსერთან - მელიოდი გილბერტთან. ფილმის განხილვა, კვირის განმავლობაში მოთხრობების შეთხზვა ფილმის პერსონაჟებზე, სიკეთის ბარათები უცნობ მეგობრებს.	IV-V	მოსწავლეები განივითარებენ წიგნიერების კომპეტენციის უნარებს, შექმნიან თხზულებებს, ილუსტრირებულ წიგნს, მისწერენ სიკეთის ბარათებს უცნობ მეგობრებს.	10.2014
10	ჩემი „ვეფხისტყაოსანი“	რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსის გაცნობა, აფორიზმების და სტროფების დასწავლა, ლ.ბერიაშვილის „საბავშვო ვეფხისტყაოსნის“ კითხვა, ილუსტრაციების გაცნობა და შექმნა, მსოფლიო	IV	მოსწავლეები კითხვისა და წერის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით შეისწავლიან რუსთაველის ხალხურ ბიოგრაფიას, „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსს, აფორიზმებს, შექმნიან ნახატებს,	12.2014-01.2015

		გამოცემები, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტუმრობა, რუსთველოლოგები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები, ნორჩი გადამწერები, შემაჯამებელი პრეზენტაცია		განივითარებენ პრეზენტაციის უნარებს.	
11	სახალისო გრამატიკა	მოსწავლეთა თანამონაწილეობით გრამატიკის წესების შექმნა „ისტ-თან და ხელოვნებასთან ინტეგრირებით. „წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით“.	IV	მოსწავლეები შექმნიან რესურსს საკუთარი ნახატებით და გახმოვანებით.	02.2015-03.2015
12	წიგნი-ჩვენი მეგობარი	წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წლის განმავლობაში წაკითხული წიგნების შესახებ მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება სასკოლო ბიბლიოთეკაში „ლიტერატურული კავის“ მოწყობა. შეხვედრა საბავშვო მწერლებთან მწერალთა სახლში და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში.	II-III-IV	წლის განმავლობაში მოსწავლეები დაეფლებიან ხმამაღალი და ჩუმი კითხვის სტრატეგიებს, განივითარებენ არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, დისკუსიის, თანამშრომლობის, კომუნიკაციის უნარებს.	01.2015 06.2015
13	მთის შვილი	პირველად საქართველოში: სოციალურ ქსელში მასშტაბური პროექტის განხორციელება ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლის აღსანიშნავად. პროექტში ჩაერთვებიან საერო სკოლა „ბინულის“, თბილისის და საქართველოს რეგიონების სკოლები. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა, პოეზიის სადამოების, ექსკურსიების, პრეზენტაციების მოწყობა, ილუსტრირებული წიგნებისა და რესურსების შექმნა; განხორციელებული აქტივობების სოციალურ ქსელში განთავსებულ ჯგუფის კედელზე გაზიარება. შემაჯამებელი პრეზენტაცია.	I-XII	მოსწავლეები გაეცნობიან პოეტისა და მწერლის მოღვაწეობას, მოიძიებენ ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალას, წაკითხავენ ნაწარმოებებს, მოაწყობენ პოეზიის სადამოებს, ექსკურსიებს, პრეზენტაციებს, წარმოადგენენ მკითხველთა თეატრს, საკუთარი ილუსტრაციებით შექმნიან წიგნებს, ხოლო ტექნოლოგიების გამოყენებით -რესურსებს. ყოველი განხორციელებული აქტივობა აიტვირთება სოციალურ ქსელში განთავსებულ ჯგუფის კედელზე. პროექტი დასრულდება შემაჯამებელი პრეზენტაციით. მოსწავლეები განივითარებენ სოციალურ-კომუნიკაციურ და თანამშრომლობით უნარებს.	04.2015-05.2015

ეკოლოგიური წიგნიერების უნარის დაუფლების მიზნით 2013-2015 წლებში განხორციელებული პროექტები

ნორჩ მკვლევართა კლუბ „ბინულის“ მიერ განხორციელებული პროექტების ნუსხა:
2013-2016 წწ.

1. 2014-2015 სასწავლო წელსა და 2015-2016 სასწავლო წელს ნორჩ მკვლევართა კლუბმა „ბინულმა“ მონაწილეობა მიიღო ილიაუნის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო პიკნიკში და დამთვალიერებლების წინაშე წარსდგა სახალისო ექსპერიმენტებით ნორჩ მკვლევართა კლუბ „ბინულის“ კარავში.
2. „ჯანსაღი კვების მნიშვნელობა“ - 2012-2013 სასწავლო წელი; განხორციელების ვადები: 2013 წლის 1-15 აპრილი. მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული კონკურსის გამარჯვებული. წარდგენა მოხდა მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. მომხსენებლები: ნინო დავითულიანი, სოფო ბეჭვია, თამარ გიორგაძე, თორნიკე დუნდუა, ლუკა კვერნაძე.
3. „მავნე ჩვევები ჯანსაღი ცხოვრების წესის წინააღმდეგ“ - 2013-2014 სასწავლო წელი; განხორციელების ვადები: 2013 წლის ოქტომბერი - 2014 წლის თებერვალი. განხორციელდა ინოვაციური განათლების ფონდისა და ვიშეგრადის პროექტის ხელშეწყობით. პროექტი იყო ინტეგრირებული და მიმდინარეობდა ქ. რუსთავის N7 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. კონფერენციაზე მასწავლებლის სახლში პროექტი წარადგინეს: სოფო ბეჭვიაძე, ანა იოსელიანი, ნინო სოხაძე, თეა კერძაძე, სოფო ბეჟანიძე და მიხეილ ბურკაძე.
4. „კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“ - პროექტი „Profiles“ (ილიაუნი), კვლევითი ხასიათის მოდულების დანერგვა. განხორციელების ვადები: 2013-2014 სასწავლო წელი.
5. „გარემო და ჯანმრთელობა“ - 2014-2015 სასწავლო წელი. განხორციელების ვადები: 2015 წლის თებერვალი - მაისი. განხორციელდა ინოვაციური განათლების ფონდისა და აშშ საელჩოს ხელშეწყობით. კონფერენცია ჩატარდა ქ. ბორჯომში სასტუმრო „ბორჯომის ხეობა“. კონფერენციაზე მოხსენება წარადგინეს მოსწავლეებმა: ანა იოსელიანი, სოფო ბეჭვია, ნატა მეტრეველი, გიგლა მაქაცარია, თორნიკე დუნდუა.
6. „გარემო და ჯანმრთელობა“ (გაგრძელება) - 2015-2016 სასწავლო წელი. განხორციელების ვადები: 2015 წლის სექტემბერი-ოქტომბერი. კონფერენციაზე ილიაუნში მოხსენება წარადგინეს მოსწავლეებმა: სალომე გორგაძე, ანასტასია კეკელიძე, გუგა აბრამიშვილი.

თანამშრომლობა

თბილისის ზოოპარკთან არსებული სასწავლო ცენტრი „მეტაზოა“ ყოველწლიურად აწყობს კონფერენციას ბიომრავალფეროვნების დღეებთან დაკავშირებით. კონფერენციაში მონაწილეობს საქართველოს სკოლები. კონკურსი ორეტაპიანია: 1. რეფერატების გადარჩევა; 2. შემდეგ ტურში გადასული მოსწავლეების მოხსენებები ზემოთაღნიშნულ კონფერენციაზე.

კონფერენციაზე წარდგენილი თემების ნუსხა:

2013 წლის მაისი:

- ალბინიზმი - ლუკა კიკნაძე (ჟიურის სიმპატია);
- დელფინები - ნიკა ჩაფიძე;
- მგელი, მისი ისტორია და მომავალი - ნიკე ბელსკაია;
- მოლუსკები - მარგალიტების მშობელი - სოფო ბეჭვაია (მესამე ადგილი);
- მწერები - ლუკა ჩიტაია;
- ობობები - ნია სულაძე;
- ცხენები - ანა არდაშელია;
- ძაღლები - გიგლა მაქაცარია.

2015 წლის მაისი:

- ღამურები ქსოვენ ღამეს - სოფო ბეჭვაია;
- ღამურები - ანა იოსელიანი (პირველი ადგილი);
- სტერეოტიპები გველების შესახებ - ნუცა აბრამიშვილი;
- დელფინები გვილიმიან - ელენე სოხაძე;
- ნიანგის ცრემლები (სტერეოტიპები ცხოველების შესახებ) - თაზო ჩუტკერაშვილი;
- ბუები არიან ბრძენნი - ნია სულაძე;
- სტერეოტიპები და ცხოველები - ალექსანდრე ხუხუნაშვილი (მესამე ადგილი).

2014-2015 სასწავლო წლიდან ვთანამშრომლობთ ეკოვიზიასთან, ჩართულები ვართ პროექტში „SPARE“.

2015-2016 სასწავლო წელს კლუბის მოსწავლეებმა მარიამ მელიშვილმა, თათია შარაბიძემ, გიორგი ამირიძემ, სამუკა ამირიძემ და ნიკოლოზ ჯიქიამ გაიმარჯვეს ეკოვიზიის მიერ ორგანიზებულ ტელე-ვიქტორინაში და მოიპოვეს საზაფხულო ეკო-ბანაკის საგზური.